



**საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ეროვნული სატყეო სააგენტო
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**



KA010175735636918

**01 / აგვისტო / 2018 წ.
710/ს**

2018 წლის 31 ივლისის N208 ელექტრონული აუქციონის (ლოტი N01; N02; N03; N04- სპეციალური ჭრების შედეგად მოპოვებული მერქნული რესურსი - სოჭის ჯიშის I; II; III და IV ხარისხის 43.350 მ³) შედეგების გამოცხადების შესახებ

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 26 დეკემბრის #50 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, „სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე სპეციალური ჭრების შედეგად მოპოვებული მერქნული რესურსის I; II; III და IV ხარისხის (სოჭი 43.350 მ³) საკუთრებაში გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის (N208) გამოცხადების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ „ეროვნული სატყეო სააგენტო“-ს უფროსის მოადგილის 2018 წლის 24 ივლისის N681/ს ბრძანებისა და ტყითსარგებლობისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის უფროსის 2018 წლის 31 ივლისის N14936/07 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ მიმდინარე წლის 31 ივლისს ჩატარებული N208 ელექტრონული აუქციონის (ლოტი N01; N02; N03 და N04 - I; II; III და IV ხარისხის სოჭის ჯიშის მერქნული რესურსი - 43.350 მ³) შედეგებით, (ლოტი N01; N02; N03 და N04) გამოცხადდა ჩაშლილად, რადგან აუქციონში მონაწილეობა არავის მიუღია:
 1. აუქციონი N208, ლოტი N03 - 8.72 მ³ (I სჭ).
 2. აუქციონი N208, ლოტი N04 - 8.64 მ³ (II სჭ).
 3. აუქციონი N208, ლოტი N03 - 19.15 მ³ (III სჭ).
 4. აუქციონი N208, ლოტი N03 - 6.84 მ³ (IV სჭ).
2. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს N242 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესი“-ს 50-ე მუხლის, პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტის შესაბამისად, ელექტრონული აუქციონი ითვლება ჩაშლილად, თუ ელექტრონულ აუქციონზე ვერ განხორციელდა ქონების რეალიზაცია.
3. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში (ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. #6) კანონმდებლობით დადგენილი წესით.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

